

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



ქ. დმანისის და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების II პროექტი
(SRMIDP)
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

2020 წ. აგვისტო

ქვე-პროექტის აღწერა

პროექტით გათვალისწინებულია ქ. დმანისის და დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, „ორმოცწყაროს“ სათავე ნაგებობიდან: ქ. დმანისი, სოფ. ანგრევანი, სოფ. კახლიანი, სოფ. საფარლო, სოფ. განთიადი, სოფ. თნუსი, სოფ. დიდი დმანისი, სოფ. ბოსლები, სოფ. ვარდისუბანი, სოფ. პატარა დმანისი, სოფ. მაშავერა, სოფ. ლაღუფლო, სოფ. პანტიანი, სოფ. შინდლარი, მთისძირი, სოფ. ყიზილქილისა, სოფ. ზემო და ქვემო ოროზმანი, სოფ. ჯავახი და სოფ. დალარი.

პროექტით გათვალისწინებულია სამუშაოები:

- „ორმოცწყაროს“ სათავე ნაგებობაზე;
- თვითდენით წყალსადენზე;
- გათვალისწინებულია ახალი, წნევის მარეგულირებელი რეზერვუარების მოწყობა 14 სოფელში. 3 დასახლებაში (ქ. დმანისი, სოფლები: განთიადი და ბოსლები) მოხდება არსებული რეზერვუარების რეაბილიტაცია. სოფ. მთისძირის წყალმომარაგება მოხდება სოფლების თნუსის და განთიადის თვითდენითი მილსადენიდან. ზემო და ქვემო ოროზმანს ექნება საერთო საპროექტო რეზერვუარი; გათვალისწინებულია არსებული საქლორატორო ნაგებობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. რეზერვუარის სანიტარული ზონა შემოღობილია და დაცული;
- ყველა დასახლების წყალსადენებით დაქსელვა და მომხმარებლების უზრუნველყოფა მრიცხველებით.

პროექტით გათვალისწინებული თითოეული შენობის, თუ სისტემის დამუშავება განხორციელდა კანონმდებლობით მიღებული ზომების და რეგულაციების დაცვით, გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მოხდენის მიზნით. საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის თანახმად, პროექტი არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მიწის ფართობის გარკვეული მონაკვეთები, სადაც უნდა მოხდეს წყლის მიღების განთავსება, მდებარეობს სახელმწიფო სატყეო ფონდის საზღვრებში, თუმცა წყლის და კანალიზაციის მიღების მონტაჟი არ გამოიწვევს ხეების მოჭრას. სახელმწიფო სატყეო

საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთები სპეციალური გამოყენების მიზნით, დროებით გადაეცემა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას და დარეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად.

საინვესტიციო საფინანსო შეთანხმება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და დმანისის მუნიციპალიტეტის თვით-მმართველობას შორის გაფორმდა და პასუხისმგებლობა რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემის და შესაბამისი ნაგებობების მოვლა-პატრონობაზე დაეკისრება დმანისის მუნიციპალიტეტს, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან თანამშრომლობით.

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

(ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, იქნება პოზიტიური.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება პოზიტიური გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება, რაც გამოწვეული იქნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებით. აღნიშნული ქვე-პროექტი გამოიწვევს წყლის მოხმარების ოპტიმიზაციას. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია არსებული, ძალიან ძველი წყალმომარაგების სისტემის/ნაგებობების რეაბილიტაცია, სადაც აღინიშნებოდა წყლის მოცულობითი გაჟონვა, რაც თავის მხრივ, განაპირობებდა ქსელის დაბალ წნევას და ამცირებდა მიწოდების ეფექტურობას. წყალმომარაგების გაუმჯობესება, განსაკუთრებით გაჟონვის აღმოფხვრა, გამოიწვევს წყლის მთლიანი რესურსის კონსერვაციას რეგიონში, რაც მოახდენს სასარგებლო ზემოქმედებას გარემოზე. უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება სავარაუდოდ იქნება მოკლე ვადიანი, რაც ტიპურია მცირე და საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ურბანულ ლანდშაფტში: სამშენებლო მექანიზმების მუშაობით გამოწვეული ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და გამოწვეულია; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთათვის მისასვლელის შეზღუდვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზემოქმედება სავარაუდოდ იქნება დროებითი და უმნიშვნელო. საპროექტო დასახლებებს არ აქვს ცენტრალიზებული საკანალიზაციო და გამწმენდი სისტემა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, სასოფლო დასახლებებში ჩამდინარე წლების მართვის რეგულაციების შემუშავება. იქამდე კი, საპროექტო

	სოფლებში საკანალიზაციო წყლების მოცილება მოხდება ისევ გრუნტის არხების მეშვეობით, რომელიც მიუყვება ქუჩებსა და საცალფეხო ბილიკებს. ხოლო, მათ მოსვლა პატრონობას კი ადგილობრივი მაცხოვრებლები ახდენენ. შესაბამისად, პროექტის განხორციელებას არ მოჰყვება წყლის დაგუბება.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას და განსახლებას. საპროექტო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოქცეულია სატყეო ფონდის ფარგლებში, თუმცა მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურების განხორციელება. ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი ზემოქმედება, რაც გამოწვეული იქნება 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებით. გაუმჯობესებული წყლის სისტემა აღმოფხვრის სასმელი წყლის ჯვარედინი დაბინძურების რისკს. სოციო-ეკონომიკურ სარგებელს შორის აღსანიშნავია კერძო და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება. უარყოფით ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე მოკლევადიანია, შეზღუდულია სამშენებლო ტერიტორიით და დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ შესაძლო შეწუხებასთან.
რა ზემოქმედებას მოახდენს ქვე-პროექტი ადამიანების ჯანმრთელობაზე?	უმნიშვნელო ხასიათის უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია მტვერთან, ემისიებთან, ხმაურთან და ვიბრაციასთან - სამშენებლო პერიოდში, თუმცა, აღნიშნული ზემოქმედება მოკლევადიანია და აღინიშნება მხოლოდ სამშენებლო ტერიტორიაზე.

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას	გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, რაიმე სხვა ალტერნატივა ქვე-პროექტის ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით, არ განხილულა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	სამშენებლო ფაზის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება მარტივად არის შესაძლებელი სამშენებლო ტერიტორიის დემარკაციით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების სათანადო

	მოვლა-პატრონობით, დადგენილი სამუშაოები საათების დაცვით და ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილებზე ნარჩენების ორგანიზებული გატანით. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით. მოხდება ახლად აშენებული რეზერვუარის და ჩალაგებული მილების დეზინფექცია. სადეზინფექციო საშუალებების პირდაპირი გაშვება ბუნებრივ გარემოში გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე. შესაბამისად, უნდა მოხდეს სადეზინფექციო საშუალებების დეაქტივაცია, გარემოს დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (მგფ) გააჩნია ფართო გამოცდილება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში. გარემოს დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, გათვალისწინებულია სადეზინფექციო საშუალებების დეაქტივაცია.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	2020 წლის 22 ოქტომბერს, საჯარო განხილვა გაიმართა ონლაინ რეჟიმში „Zoom“ აპლიკაციის გამოყენებით, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე პანდემიით. შეხვედრა მიზნად ისახავდა გარემოს და სოციალური დაცვის ანგარიშის და გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მიმოხილვას ქვე-პროექტისთვის „ქალაქ დმანისის და 19 სოფლის წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია“. ონლაინ საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის გამართვამდე, MDF-მა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად განიხილა რამდენიმე ვერსია და შეიმუშავა ონლაინ შეხვედრის გამართვის ყველაზე ოპტიმალური განრიგი. „Zoom“ აპლიკაცია შერჩეული იქნა, როგორც შეხვედრის

	გამართვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა, რადგან მარტივია მასზე წვდომა ბმულის მეშვეობით და დმანისის სხვადასხვა სოფლების წარმომადგენლებმა ონლაინ შეხვედრას ორგანიზება გაუწიეს COVID-19-თან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით და დაცვით. შეხვედრის თარიღთან/დროსთან და მდებარეობასთან (ონლაინ) დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნდა MDF-ის ოფიციალურ ვებგვერდზე, განცხადებები გამოიკრა ასევე ქალაქ დმანისსა და 19 სოფელში. დამატებით, დმანისის დანარჩენი მოსახლეობისთვის MDF-მა მოამზადა საინფორმაციო ბროშურები.
--	--

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგების საფუძველზე,

ქვე-პროექტი განეკუთვნება გარემოს დაცვით შემდეგ კატეგორიას:

- A ☐
- B ☒
- C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

ქვე-პროექტის მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას ☐
2. ეკოლოგიურ და სოციალურ შესწავლას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ☒

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-ს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია

მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, დეცენტრალიზაციის და რეგიონული განვითარების კუთხით არსებული გამოწვევების მოგვარების პროცესში. აღნიშნული მხარდაჭერა გამოიხატება რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე მიმდინარე პროექტის (SRMIDP) განხორციელებით - 2014 წლიდან. 2020 წელს, საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა განაცხადა თანხმობა, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) და მსოფლიო ბანკი შეთანხმდნენ, რომ რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების ფარგლებში, დაცული იქნება დამტკიცებული კონცეფცია და რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) ტექნიკური პროექტი.

პროექტის განვითარების მიზანია ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ხარისხიან მუნიციპალურ სერვისებზე და ინფრასტრუქტურაზე. პროექტი შედგება ორი ნაწილისაგან (ნაწილი „ა“ და ნაწილი „ბ“).

ნაწილი „ა“

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია, პროექტის მართვა და მონიტორინგი (i) ეხმარება შერჩეულ მუნიციპალიტეტებს, რომ ამ უკანასკნელებმა უზრუნველყონ ძირითადი მუნიციპალური სერვისები და ინფრასტრუქტურა, ურბანულ თემებსა და სოფლებში; (ii) ჩამორჩენილ რეგიონებში მცხოვრებ თემებს, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულები ეკონომიკურ აქტივობებში, შესაძლებლობა ეძლევათ, რომ მიიღონ ძირითადი სერვისები და ისარგებლონ ინფრასტრუქტურული ობიექტებით; (iii) ხელი შეუწყონ კერძო კაპიტალის მობილიზაციას შერჩეულ ქალაქებსა და სოფლებში - საჯარო-კერძო ინიციატივის (PPI) ფარგლებში დამატებითი რესურსების მინიჭების შესაძლებლობით.

ნაწილი „ბ“

კომპონენტი 2: გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე საპასუხო რეაგირება წარმოადგენს ახალ კომპონენტს, რომელიც დაემატა პროექტს, დამატებითი დაფინანსების შემდეგ. აღნიშნულ კომპონენტზე ამჟამად ნულოვანი (სახსრებია) გამოყოფილი, თუმცა შესაძლებელია საპროექტო სახსრების სწრაფი წესით გადანაწილება სხვა კომპონენტებიდან, მთავრობის მიმართ სასწრაფო საპასუხო რეაგირების მიზნით, საქართველოში კრიზისის, ან საგანგებო მდგომარეობის დადგომის შემდეგ.

1.1. ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში „მგფ“) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ფინანსური რესურსების ინვესტირებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში და ძირითადი ეკონომიკური და სოციალური სერვისების გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის (თემებისთვის), მდგრად საფუძველზე. მგფ წარმოადგენს პროექტის (SRMIDP) განმახორციელებელ ორგანიზაციას და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, ისევე როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის პოლიტიკის გამოყენებაზე.

მგფ, ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშებს (SAR), გარემოს დაცვის თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, მოამზადებს და წარუდგენს მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად. აღნიშნული გარემოსდაცვითი დოკუმენტები, საჭიროებისამებრ, შესაძლოა მოიცავდეს ეკოლოგიურ და სოციალურ მიმოხილვას (ESR), გარემოს დაცვით და სოციალური მართვის გეგმასთან (ESMP) ერთად. აღნიშნული დოკუმენტი (ESMP) მომზადებული უნდა იყოს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიის გამოყენებით.

1.2. კანონმდებლობა და რეგულაციები

საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის თანახმად, ქვე-პროექტი არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA) და შესაბამისი დოკუმენტის (EIA) მომზადება და გარემოსდაცვითი დასკვნის მიღება, საჭიროებას არ წარმოადგენს.

ქვე-პროექტით ამოქმედებულია OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასების სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა.

ხსენებული პოლიტიკის და აღნიშნული პროგრამისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი მიეკუთვნა B (+) კატეგორიას, რაც მოითხოვს ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვის (ESR) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მომზადებას, გარემოს დაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

2. წყალსადენი სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა

ქ. დმანისის და სოფლების წყალმომარაგება ხორციელდება „ორმოცწეაროს“ სათავე ნაგებობიდან - კლდიდან ზედაპირული წყლის არინების გზით, სიმაღლე ზღვის დონიდან: 1430 და 1447 მ. „ორმოცწეაროს“ სათავე ნაგებობაზე არსებული წყლის მიმღებ ნაგებობებზე და მილსადენებზე აღინიშნება წყლის დიდი მოცულობითი დანაკარგი. 1500 მ სიგრძის მონაკვეთზე არსებულ მილსადენში გამოვლინდა 15 დიდი ჭავლური ნახვრეტი. რეზერვუარებიდან წყალი მიეწოდება პანტიანის წყალშემკრებ ავზს, რადგან პანტიანის წყალშემკრები ავზი ვერ უზრუნველყოფს მთისძირის, ზემო ოროზმანის და ქვემო ოროზმანის სოფლებს სათანადო წნევის სასმელი წყლის საჭირო მოცულობით (არახელსაყრელი

მდებარეობის გამო). აღნიშნული მიზეზის გამო მოეწყო დამატებითი მილსადენი $W=8$ მ3 და $W=10$ მ3 რეზერვუარებიდან - “ორმოცწაროს“ სათავე ნაგებობაზე. რთული გეოლოგიური პირობების გამო, მილები განთავსებულია ვიწრო ხეობაში, ნახევრად ზედაპირულად. ქვების ძლიერი ცვენის გამო, ხაზები დეფორმირებულია და ზოგ ადგილას შემცირებულია მილსადენის განივი კვეთები.

სოფ. პანტიანში, ზღვის დონიდან 1295 მ-ზე, მოეწყო $W=80$ მ3 ავზი, წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი და საქლორატორო.

ოთხივე რეზერვუარის გადახურვა, შესასვლელები, სავენტილაციო (გამოსაშვები) მილები, დამხმარე კამერები, წყლის შემყვანი და გამყვანი სარქველები და ლიუკები, ამორტიზირებულია. რეზერვუარის სანიტარული ზონა შემოღობილი და დაცულია. წყლის დაქლორვა პანტიანის საქლორატოროში ხდება 80მ3 წყლის გამანაწილებელ კამერაში. მეორადი საქლორატორო სისტემა დაქლორვისთვის იყენებს კირს და მოწყობილია დმანისის რეზერვუარებთან, ამორტიზირებულ ნაგებობაში. ქ. დმანისში არსებული გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში შეადგენს 40 კმ-ს. ბოლო 8 წლის განმავლობაში მოხდა აღნიშნული ქსელის 40%-მდე რეაბილიტაცია. მილსადენის დანარჩენი ნაწილის ამორტიზაცია მოხდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, აღსანიშნავია მილსადენის ხშირი დაზიანებები.

დმანისის სერვის ცენტრის მონაცემების მიხედვით, დმანისში ამჟამად დაფიქსირებულია 1032 ფიზიკური და 97 იურიდიული პირი.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ემსახურება სოფლების (1. პანტიანი; 2. ლალუფლო; 3. მთისძირი; 4. ზემო ოროზმანი; 5. ქვემო ოროზმანი; 6. დალარი; 7. განთიადი; 8. თნუსი; 9. ბოსლები; 10. ჯავახი; 11. დიდი დმანისი; 12. ვარდისუბანი) ცენტრალურ ხაზებს და გამანაწილებელ ქსელებს, რომლებიც ამორტიზირებულია. მოქმედია $W=100$ მ3 მოცულობის რეზერვუარი სოფ. თნუსში და $2 \times W=300$ მ3 რეზერვუარი სოფ. განთიადში.

აღნიშნულ სოფლებთან ერთად, ტექნიკურ დავალებაში წარმოდგენილია დამატებით 7 სოფელი (1. შინდლარი; 2. იზილქილისა; 3. კაკლიანი; 4. მაშავერა; 5. პატარა დმანისი; 6. ანგრევანი; 7. საფარლო), რომლებიც ავტომატურად იღებენ წყალს წყაროებიდან (გაწმენდის გარეშე), ან კომპანიის $d=219$ მმ ფოლადის მილიდან. აღნიშნულ სოფლებში, ავტომატურად მოწყობილი წყლის ნაგებობები და მილსადენები ამორტიზირებულია და არ აკმაყოფილებს საინჟინრო სტანდარტების მოთხოვნებს. ამჟამად, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შენდება ახალი სათავე ნაგებობა მდ. მამუთლის ხეობაში, ჰიდრო-ელექტრო სადგურის სიახლოვეს, საიდანაც წყალი 3.5 კმ ხაზის მეშვეობით მიეწოდება ახალ $W=800$ მ3 რეზერვუარს, სოფ. მთისძირში. რეზერვუარი მოემსახურება შემდეგ სოფლებს: მთისძირი, ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, ჯავახი.

3. ქვე-პროექტის აღწერა

პროექტით გათვალისწინებულია დმანისის 20 დასახლების წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია. წყალმომარაგების სისტემა ურთიერთ-მოქმედია. პროექტი დადებითად გადაწყვეტს წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებს დმანისსა და აღნიშნული რაიონის 19 სოფელში. წყალმომარაგების სისტემა უზრუნველყოფილია „ორმოცწაროს“ საფუძველზე, სადაც წყლის წარმოება საკმარისზე მეტია. წყლის მიწოდება „ორმოცწაროს“ სათავე ნაგებობიდან მოხდება შემდეგი დასახლებებისთვის: ქ. დმანისი, სოფლები: ანგრევანი, კაკიანი, საფარლო, განთიადი, თნუსი, დიდი დმანისი, ბოსლები, ვარდისუბანი, პატარა დმანისი, მაშავერა, ლალუფლო, პანტიანი, შინდლარი, მთისძირი, ყიზილქილისა, ზემო და ქვემო ოროზმანები, ჯავახი და დალარი.

„ორმოცწაროს“ სათავე ნაგებობა წარმოადგენს დაქანებულ ქვიან ფერდობს, საიდანაც ამოდის რამდენიმე ათეული წყარო. წყლის მიმდების ფერდობის ძირში დაპროექტების დროს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 200 მეტრამდე სიგრძეზე არხის მოწყობა, რომლის თავიც ფილებით იქნება დაფარული. არხს ფერდობის გვერდიდან ექნება ნახვრეტები, და წყლის გადინება ხდება აღნიშნული ნახვრეტებიდან. მომხმარებლების წყლით უზრუნველყოფა ხდება (არხების ბოლოს მოწყობილი) კამერებიდან, მილსადენების გამოყენებით.

წყლის მიმწოდ მილსადენები სოფლის რეზერვუარებში, რომელთა საფუძველს წარმოადგენს „ორმოცწარო“, მუშაობს თვითდენით. პირველი განშტოება მიმართულია პანტიანის რეზერვუარისკენ, შემდეგი განშტოება (ემსახურება) ლალუფლოს რეზერვუარს და ა.შ.

არსებული რეზერვუარი რეაბილიტირებულია ქ. დმანისში, სოფლებში ბოსლებსა და განთიადში, რომელიც წყლით სოფ. თნუსის ამარაგებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სოფ. მთისძირს არ ექნება რეზერვუარი და მისი წყალმომარაგება განხორციელდება მაქსიმალური საათობრივი წყლის დებიტით.

ოცივე (20) დასახლების დაქლორვა მოხდება არსებულ (სარეაბილიტაციო) საქლორატორო ნაგებობაში.

დასახლებებში გათვალისწინებულია წყალსადენი ქსელის მოწყობა, იმისთვის რომ წყალი მიეწოდოს ყველა მომხმარებელს. ასევე გათვალისწინებულია გამრიცხველიანებაც. ხოლო, მომხმარებლები იქნებიან პასუხისმგებელნი დაერთებაზე.

წყალსადენის სათავე ნაგებობა

დმანისის და მის გარშემო არსებული სოფლებისთვის წყალმომარაგების ძირითად წყაროს წარმოადგენს „ორმოცწაროს“ წყლები, რომლებიც ჩამოედინება მდ. ნაზიგნიჩაის ხეობის მარცხენა ფერდობზე, ჰიდროელექტროსადგურის შემოვლითი არხის სიახლოვეს. მანძილი ჰიდროელექტროსადგურიდან 1,0-1,2 კმ-ს შეადგენს, ხოლო სოფ. პანტიანიდან - 1,5-1,6 კმ-ით არის დაშორებული (იხ. სქემატური გეგმა: ნახაზები 1 და 2).

აღნიშნულ წყაროებზე განხორციელდა ჰიდროლოგიური კვლევა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ „ორმოცწყაროს“ გააჩნია სამი ძირითადი გამოსასვლელი:

1. ზედა ტერასის წყაროები, რომელთა დებიტი შეადგენს დაახლოებით 150-200 ლ/წმ;
2. ქვედა ტერასის წყაროები, რომელთა დებიტი შეადგენს დაახლოებით 250-300 ლ/წმ;
3. მესამე წყაროს ჯგუფი მიედინება პირველი ორის აღმოსავლეთით და დებიტი არ აჭარბებს დაახლოებით 25 ლ/წმ.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვედა ტერასის წყაროების სიმძლავრე აკმაყოფილებს წყლის მომხმარებლებისთვის საჭირო საორიენტაციო დებიტს (59 ლ/წმ), პროექტით დამტკიცდა წყლის მიმღები სადრენაჟე არხის მოწყობა, აღნიშნული წყაროებიდან დაღვრილი წყლის შეგროვების მიზნით.

წყალმიმღები ნაგებობები ამჟამად ფუნქციონირებს სამივე (3) წყაროზე, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახლებების წყალმომარაგებას. აღნიშნული ნაგებობები ბევრ ადგილასაა დაზიანებული სიძველის გამო, ასევე ხდება წყლის დიდი მოცულობის დაკარგვა.

არსებული მდგომარეობის მიხედვით, შემოთავაზებული პროექტით გათვალისწინებულია ახალი წყალმიმღების მშენებლობა, რომელიც შეძლებს წყლის საკმარისი მოცულობის აბსორბირებას, რათა მოხდეს წყლის ყველა მომხმარებლის დაკმაყოფილება - მომავალში.

საქლორატორო ნაგებობა

არსებული საქლორატორო ნაგებობის გამოყენება მოხდება დაქლორვის მიზნით. აღნიშნული ნაგებობა დაახლოებით 1.5 კმ-ით არის დაშორებული „ორმოცწყაროსგან“. აღნიშნული ნაგებობიდან წყალმომარაგება მოხდება ყველა დასახლებაში და მიწოდებული წყალი დაექვემდებარება გაწმენდას, რაც გამოწვეულია „ორმოცწყაროს“ ადგილმდებარეობით - ზღვის დონიდან უმაღლეს ნიშნულზე. საქლორატოროდან წყლის გადამცემ მილსადენს წყალი მიეწოდება წყლის ჭავლის დარღვევის გარეშე.

საქლორატორო ნაგებობა აღჭურვილი უნდა იყოს კალციუმის ჰიპო-ქლორიტით $\text{Ca}(\text{OCl})_2$ -სასმელი წყლის დეზინფექციისათვის. სისტემაში იგულისხმება ისეთი სისტემა, სადაც $\text{Ca}(\text{OCl})_2$ -ის ფხვნილი, ან ადვილად ხსნადი გრანულები - იხსნება შემვსებ ავზებში, და შემდეგ გადაეცემა შემნახავ ავზს, დოზირების დაერთებული ტუმბოებით. დოზირების მინი ტუმბოები განთავსდება ავზის სიახლოვეს. აღნიშნული სისტემა აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების ყველა საჭირო მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო სისტემის ოპერირებას, ყველა სახის პირობებში.

სასმელი წყლის მიწოდება საქლორატორო ნაგებობისთვის მოხდება წყლის მილსადენიდან (სათავე ნაგებობიდან). საჭირო წნევის მისაღებად, წყლის გადამცემი მილსადენი უზრუნველყოფს ქლორიანი წყლის მიწოდებას, დოზირების ტუმბოს გამოყენებით. ქლორის

დოზირება განხორციელდება ამავე მილზე დამონტაჟებული წყლის მრიცხველის ეკრანის მიხედვით. სადუზინფექციო წყლის დებეტი შეადგენს 57.00 ლ/წმ (205.0 მ3/სთ).

კალციუმის ჰიპო-ქლორიტის შემცვენი და შემნახავი ავზების ზომა დამოკიდებულია 1 მგ ფორმაციული აქტივობის კოეფიციენტი (FAC)/ ლ-ს დოზირების (მიწოდების) სიჩქარეზე, საპროექტო ხარჯთან მიმართებაში. პროექტით გათვალისწინებულია ორი კალციუმ ჰიპო-ქლორიტის შემცვენი და შემნახავი ავზი და ერთი კალციუმ ჰიპო-ქლორიტის შემნახავი ავზი. დოზირების ტუმბოების დაპროექტება უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს 5 მგ/ლ-ს მაქსიმალური ფორმაციული აქტივობის კოეფიციენტის (FAC) დოზირება წყლის საპროექტო ხარჯთან მიმართებაში, დოზირების ტუმბოების მუშაობისას.

კალციუმის ჰიპო-ქლორიტის სადუზინფექციო ხსნარის კონცენტრაცია უნდა შეადგენდეს ქლორის შემცველობის (FAC) 1%-ს (10 გ/ლ). ხსნარის აღნიშნული მოცულობა უზრუნველყოფს ხსნარის შენახვას დიდი ხნის განმავლობაში. ამასთან, შერჩეული კონცენტრაცია მინიმუმამდე ამცირებს ქლორის დანაკარგს, დამუხტვის დროს წარმოქმნილ ნატანში.

ტუმბოს მადოზირებელი ერთეულის ნომინალური სიმძლავრე შეადგენს 21.0 ლ/სთ.

კალციუმის ჰიპო-ქლორიტის დოზირება მილსადენის წყლის ნაკადის პროპორციული უნდა იყოს. მადოზირებელი ტუმბოს მართვის შემყვანი სიგნალის დამონტაჟება მოხდება წყლის მილსადენზე.

მრიცხველის დამონტაჟებას და საქლორატორო ოთახის დაერთებას დოზატორი ტუმბოს მართვის სისტემაზე, კონტრაქტორი უზრუნველყოფს.

კალციუმ ჰიპო-ქლორიტის ყველა ფორმა შეიცავს გარკვეული (რაოდენობით) უხსნად მასალას. აუცილებელია აღნიშნული მასალის სეპარაცია დოზირებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს დაბინძურება და ბლოკირება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ხსნარის მომზადება და გაჩერება, სუფთა ხსნარის შემნახავ ავზში გადასვლამდე.

ზოგადად, ხსნარი უნდა მომზადდეს შემცვენი ავზში ერთ დღეს, აღნიშნული ხსნარის დატოვება უნდა მოხდეს მთელი ღამის განმავლობაში და არასაკმარისი სითხე (სუპერნატანტი) გაიფილტრება შემნახავ ავზში უკვე მეორე დღეს. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გათვალისწინებულია ორი შემცვენი ავზი.

სისტემისთვის საჭირო ყველა სახის აღჭურვილობა (ავზები, ტუმბოები, მილები, სარქველები, ჭურჭელი და სხვ.) დამზადებული უნდა იყოს დანადგარის სითხეების გაუმტარი

(რეზისტენტული) მასალისაგან და უნდა გაუძლოს მაქსიმალური ტემპერატურის პირობებს. დასველებადი ნაწილები არ უნდა იყოს მეტალის.

კალციუმ ჰიპო-ქლორიტის დოზირება უნდა იყოს მთლიანად ავტომატური და მილსადენის წყლის ნაკადის პროპორციული.

დოზატორი ტუმბოები უნდა გაჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ კალციუმ ჰიპო-ქლორიტის შემნახავ ავზში დონე დაეცემა დაბალ დონეზე ქვემოთ. კალციუმის ჰიპო-ქლორიტის შევსების და დოზირების სისტემის პროექტზე ინჟინრის წერილობითი თანხმობის მიღებამდე, არ უნდა მოხდეს რაიმე სახის აღჭურვილობის წარმოება. საქლორატორო შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე და ინჟინრის მიერ დამტკიცებამდე, არცერთი აღჭურვილობა არ უნდა იქნას მიტანილი საპროექტო ტერიტორიაზე. საქლორატორო ნაგებობის (სადგურის) წარმატებულ ამუშავებამდე შესრულებულ ყველა სამუშაოზე, პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორს.

კალკულაცია და წყალსადენი ქსელების მოწყობა

პროექტით გათვალისწინებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 20 დასახლების წყალმომარაგება: ცენტრი - ქ. დმანისი და 19 სოფელი. თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი სისტემა - რეზერვუარი და გამანაწილებელი ქსელი, რომელიც წყალს იღებს „ორმოცწაროს“ სათავე ნაგებობიდან, თვითდენითი წყალსადენის გამოყენებით.

პროექტში მოცემულია წყლის მილსადენის ქსელის ჰიდრავლიკური გაანგარიშება, თითოეული დასახლების ორ რეჟიმთან მიმართებაში.

კალკულაცია შესრულებულია წყლის მოხმარების მაქსიმალური ნაკადის და ხანძარსაწინააღმდეგო ნაკადის შემთხვევებისთვის.

რთული გეოგრაფიული პირობების გამო, დასახლებების უმრავლესობას დაჭირდა წყალსადენის ვერტიკალური ზონირება. ყოველი დასახლების თითოეული მომხმარებლისთვის დაგეგმილია ინდივიდუალური მრიცხველებით აღჭურვილი შემყვანის მოწყობა. ასევე დაგეგმილია ქ. დმანისის 14 შენობის მაცხოვრებლების გამრიცხველიანება.

ქ. დმანისი მუნიციპალიტეტის ცენტრია და 20 დასახლებას შორის ყველაზე დიდია მოცულობით. აქ ცხოვრობს დაახლოებით 3210 მაცხოვრებელი. ქ. დმანისს აქვს 3×1000 მ3 სიმძლავრის წნევაზე მომუშავე რეზერვუარი, პროექტით გათვალისწინებულია მისი შეკეთება. მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელის ჯამური სიგრძე (ინდივიდუალური განშტოებების

გარეშე) 12562 მეტრია (დიამეტრების შესაბამისად PE100 PN10 დ=90 მმ - 12902 მ, დ=110 მმ - 6077 მ, დ=160 მმ - 4861 მ, დ=225 მ - 332 მ).

- სოფ. ანგრევანი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 66. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ3 (2×100 მ3). მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელის სიგრძე (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 2644 მეტრია (დიამეტრის მიხედვით - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ).
- სოფ. კალიანი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 396. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ3 (2×100 მ3). მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელის სიგრძე (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 6889 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 6049 მ დ=110მმ 614 მ დ=160მმ – 226მ).
- სოფ. სფარლო - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 396. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ3 (2×100 მ3). მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელის სიგრძე (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 10697 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 10543 მ, დ=110მმ - 103 მ, დ=160მმ - 51 მ).
- სოფლები განთიადი და თნუსი - მოსახლეობის რაოდენობა განთიადში დაახლოებით 660 მაცხოვრებელს შეადგენს, თნუსში - 492 მაცხოვრებელს. სოფლებს აქვთ საერთო წნევის მარეგულირებელი 250 მ3 მოცულობის რეზერვუარი. პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული რეზერვუარის რეაბილიტაცია. გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში შეადგენს 28153 მეტრს (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 23745 მ, დ=110მმ - 3404 მ დ=160მმ - 1004 მ).
- სოფ. დიდი დმანისი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 792. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 300 მ3 (2×150 მ3). მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელის სიგრძე (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 8720 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 7462 მ დ=110მმ - 177 მ დ=160მმ - 1081 მ).
- სოფ. ბოსლები - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 516. სოფელს აქვს წნევის მარეგულირებელი, 250 მ3 მოცულობის რეზერვუარი. პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული რეზერვუარის რეაბილიტაცია.

გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში 8209 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 7580 მ დ=110 მმ - 324 მ დ=160 მმ - 305 მ).

- სოფ. ვარდისუბანი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 432. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 693 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 4829 მ დ=110 მმ - 1264 მ)
- სოფ. პატარა დმანისი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 156. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 4252 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 4162 მ)
- სოფ. მაშავერა - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 786. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 300 მ³ (2×150 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 8447 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 8120 მ დ=110 მმ - 18 მ დ=160 მმ - 146მ)
- სოფ. ლალუფლო - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 588. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 300 მ³ (2×150 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) ----6569 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 6114 მ დ=110 მმ - 455 მ)
- სოფ. პანტიანი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 444. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 4790 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 4029 მ დ=110 მმ - 370 მ დ=160 მმ - 391 მ)
- სოფ. შინდლარი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 372. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 6833 მეტრია (დიამეტრის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 6259 მ დ=110 მმ - 424 მ დ=160 მმ - 150 მ)

- სოფ. მთისძირი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 264. პროექტის მიხედვით, სოფლისთვის სასმელი წყლის მიწოდება გათვალისწინებულია სათავე ნაგებობიდან, მაქსიმალური ნაკადით. გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 3949 მეტრია (დiameterის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 3623 მ დ=110 მმ - 92 მ დ=160 მმ - 234 მ)
- სოფ. ყიზილქილისა - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 816. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 300 მ³ (2×150 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 8472 მეტრია (დiameterის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 8114 მ დ=110 მმ - 187 მ დ=160 მმ - 171 მ)
- სოფლები ზემო და ქვემო ოროზმანი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 998. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 300 მ³ (2×150 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 25238 მეტრია (დiameterის შესაბამისად - PE100 PN10 და PN16 დ=90 მმ - 14099 მ დ=110 მმ - 587 მ დ=160 მმ - 1340 მ დ=225 მმ - 740)
- სოფ. ჯავახი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 185. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 5812 მეტრია (დiameterის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 6888 მ დ=160 მმ - 1919 მ)
- სოფ. დალარი - მოსახლეობის რაოდენობაა დაახლოებით 185. საპროექტო წნევის მარეგულირებელი რეზერვუარის მოცულობაა 200 მ³ (2×100 მ³). გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ჯამში (ინდივიდუალური განშტოებების გარეშე) 5812 მეტრია (დiameterის შესაბამისად - PE100 PN10 დ=90 მმ - 5091 მ დ=110 მმ - 90 მ დ=160 მმ - 631 მ).

4. გარემოს არსებული პირობები

პროექტი ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში. დმანისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით დმანისის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - წალკის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფართობი: 1198.8 კმ².

დმანისის მუნიციპალიტეტში კლიმატი არის ზომიერად ნოტიო, ცივი ზამთრითა და თბილი ზაფხულით. წლის ყველაზე ცივ თვეში (იანვარში), საშუალო ტემპერატურაა: - 10°C; წყლის ყველაზე თბილ თვეს (ივლისში), საშუალო ტემპერატურა მერყეობს + 15- + 25°C-ს შორის, ზონის მიხედვით. მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია გვალვა. ატმოსფერული ნალექების მოცულობა შეადგენს 650-800 მმ-ს წელიწადში. ნალექების მაქსიმალური მოცულობა აღინიშნება მაისში, ხოლო მინიმალური - დეკემბერში. ზაფხულის თვეებში ხშირია ძლიერი წვიმა და თქეში, ხშირად სეტყვასთან ერთად.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მრავალფეროვანია. პირველი კლასის ოროგრაფიული ერთეულებია: ვულკანურ კლდეზე ნაშენი ჯავახეთის ქედი, ლოკის ქედი; ასევე გომარეთის და დმანისის ვულკანური ზეგნები.

ჯავახეთის ვულკანური ქედი მდებარეობს მუნიციპალიტეტის დასავლეთ ნაწილში და შედგება ძირითადად ბაზალტის ანდეზიტის-ბაზალტის ლავისაგან, რაც წარმოქმნის ტექტონიკურად თაღოვან ფენებს. ქედის აღმოსავლეთით გადაჭიმული ქვედა მიმართულებით დახრილი ფერდობი დასერილია კანიონის ხეობებით.

ლოკის ქედი მდებარეობს მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში. აგებულია ძირითადად ცარცული პერიოდის ვულკანური ნაგებობებით, რომლის ქვეშ მოქცეულია ლოკის გრანიტის მასივის ძველი კრისტალური კომპლექსი. ხასიათდება საშუალო რელიეფით, ეროზიული, სტრუქტურული და გამიშვლებული ფორმებით.

გომარეთის პლატო მდებარეობს კვირიკეთის და შინდლარის მთის მასივებს შორის, რაც თითქმის მთლიანად მდ. შავწყაროსწყლის აუზშია განთავსებული. შავწყაროსწყლის ხეობა თითქმის შუაზე კვეთს ხეობას.

დმანისის პლატო მდებარეობს მდ. მაშავერის ზედა ბიეფის აუზში, შედგება შინდლარის მასივისაგან, ლოკის ქედისა და ჯავახეთის ქედის ფერდობებისგან. გეგმაში აქვს სამკუთხა ფორმა და ვიწროვდება ჩრდილო-აღმოსავლეთით. ზეგანის ზედაპირის სიმაღლე მერყეობს 900-950 მ-დან 1600-1700 მ-მდე.

ძირითადი მდინარეა მაშავერა, რომელიც სათავეს იღებს ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობიდან, ზღვის დონიდან 2125 მ სიმაღლეზე. მაშავერა ჩაედინება მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბანში და უერთდება მდ. ხრამს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მარჯვენა მხრიდან. მდინარის სიგრძე ჯამში შეადგენს

66 კმ-ს, ხოლო საშუალო წლიური ნაკადია 8მ3/წმ. ძირითადი შენაკადებია: შახმარლო, სარფდერე, მოშევანი და სხვ.

მაშვერას ხეობა ხასიათდება ფართო და სწორი ძირით, რაც აიხსნება ჯავახეთის ქედის ლავის ნაკადის ზემოქმედებით და მისი აკუმულირებით.

მდ. ხრამი მიედინება დმანისის მუნიციპალიტეტის ჩრდილო საზღვარზე. შენაკადებიდან მნიშვნელოვანია მდ. შავწყაროსწყალი (ყარაბულაღი), რომელიც იწყება ჯავახეთის ფერდობის აღმოსავლეთ ფერდობზე და უერთდება ხეობას - მარჯვნივ. მდ. შავწყაროსწყალის ხეობა გადაკვეთილია 500 მ სიღრმეზე, ცარცულ ვულკანურ ზონაში. ამასთან, მისი გვერდების ზედა ნაწილს ქმნის დოლერიტული კაჭარი; უფრო ზემოთ, ხეობა სოფ. ზემო ყარაბულაღთან, უკვე შექმნილია მთლიანად ლავისგან და დაყოფილია რამდენიმე შედარებით წყალმცირე კანიონებად. მდ. შავწყაროსწყალის ძირითადი შენაკადებია: დაგერმანდერესი, ახა, უსეინქენდი, თოზდუხი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მდინარეებს კვებავს წვიმა, თოვლი და უხვი წყაროებიდან წარმოქმნილი ლავა.

დმანისის მუნიციპალიტეტში არის ასევე მცირე ზომის ტბები, რომელთაგან აღსანიშნავია პანტიანის და ოროზმანის ტბები.

5. პოტენციური ზემოქმედება

5.1. მშენებლობის ფაზა

5.1.1. სოციალური ზემოქმედება

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** რეაბილიტაციით და მშენებლობით განპირობებული მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე ან ბიზნესებზე.
- **მშენებლობაზე დასაქმების შესაძლებლობის შექმნასთან დაკავშირებული დადებითი ზემოქმედება:** მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე დადებითი ზეგავლენა - ოპერირების ფაზაში.
- **სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო საკმთანობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობა.

- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას არ შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი და პოტენციურად საფრთხე არ დაემუქრება ტრანსპორტის მოძრაობას და ფეხით მოსიარულეებს.

5.1.2. ზეგავლენა ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე

ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს გავლენას ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილია სამოქალაქო სამუშაოების განხორციელება დმანისის მუნიციპალიტეტში, რომელიც ცნობილია საერთაშორისო მნიშვნელობის უნიკალური არქეოლოგიური ადგილებით, მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური აღმოჩენების ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი.

5.1.3. ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე

ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შედეგად ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- საწვავის, ზეთების, საპოხი მასალის, ჰიდრავლიკური სითხის, ანტიფრიზის, ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- სამშენებლო მასალები (მაგ. ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის და ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

წყლის დაბინძურება

წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა წყაროებით, ქვემოთმოყვანილის ჩათვლით:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის დროს;
- ლამიანი წყლის გამოთავისუფლება მიწის სამუშაოების შედეგად;
- ლამით ამღვრეული ჩამონადენი წყალი („მშენებლობის წყალი“);
- სატრანსპორტო საშუალებების ან აღჭურვილობის რეცხვა;
- დაბინძურებული მიწის და გრუნტის წყლების ზემოქმედება.

შესაძლებელია, რომ დაღვრილი სითხეები ძალიან სწრაფად ჩაედინოს დაღმართში და წყალსატევში ან მდინარის კალაპოტში მოხვდეს. წყლის ნაკადში მოხვედრის შემდეგ, შესაძლოა რთული იყოს დაბინძურების შეკავება, რაც შემდგომ ზემოქმედებას მოახდენს ქვედა ბიეფში არსებულ დიდ არეალზე. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მყისიერი რეაგირება მოხდეს წყლის დაბინძურების ნებისმიერი პოტენციური ინციდენტის შემთხვევაში.

ნიადაგის ზედა ფენის სამუშაო სისქის მოხსნის შემდეგ, ხდება ნიადაგის ქვედა ფენის გაშიშვლება. წვიმიან ამინდში მიწის სამუშაოების წარმოებისას, შესაძლოა მოხდეს შეწონილი ნივთიერებების უკონტროლო გამოთავისუფლება სამუშაო ტერიტორიიდან.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ექსპლუატაციამ და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებამ.

- მძიმე ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვები (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულოდოზერებიდან, ექსკავატორებიდან, და ა.შ.);
- მტვერი (სატრანსპორტო საშუალებებიდან);
- კვამლის და აირების პრობლემა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მასალების მოწოდებასა და ტრანსპორტირებასთან.

სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

ზემოხსენებული საქმიანობების წარმოების შედეგად სავარაუდოდ წარმოიქმნება შემდეგი ტიპის ინერტული და არა-სახიფათო სამშენებლო ნარჩენები:

- არსებული შენობის დემონტაჟის და შადრევნის მოწყობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული მასალა, როგორიცაა მაგ. გრუნტი, კლდოვანი გრუნტი, ბეტონი, აგურები და მეტალი;
- არა-სახიფათო ნივთიერებებით ან საგნებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შედეგად. რამდენიმე სახის სახიფათო ნარჩენი, რომელთა წარმოქმნაც შესაძლებელია:

- თხევადი საწვავი;
- საპოხი მასალა, ჰიდრაულიკური ზეთები;
- ქიმიკატები, როგორიცაა ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- დაღვრის დროს გამოყენებული მასალა, რომელიც გამოიყენება ზეთებისა და ქიმიკატების დაღვრების შესაწოვად;
- მექანიზმების/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ჩვრები, ნახშირი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.).

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზემოქმედება

შესაძლებელია შემდეგი სახის ზემოქმედების გენერირება:

- ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება;
- საცობები (დაბრკოლება);
- ჰაერის დაბინძურება;
- ტალახი გზებზე;
- სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა, ტექმომსახურება და რეცხვა და შესაბამისი რისკები ნიადაგის და წყლის დაბინძურების თვალსაზრისით.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩარეცხვა მისი არასათანადოდ შენახვისა და აღდგენის გამო;
- ლამის ჩადინება წყალსატევებსა და მდინარის კალაპოტებში;
- დაბინძურებული ნიადაგის ზემოქმედება.

მცენარეულობა და ლანდშაფტი

მოცემული ქვე-პროექტით ტყის გაჩეხვა, ან ბუჩქების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. ქვე-პროექტი ასევე არ ითვალისწინებს ლანდშაფტის რაიმე სახით ცვლილებას.

5.2. ექსპლუატაციის ფაზა

ოპერირების ეტაპზე, პროექტს ექნება დადებითი ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

5.3. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) მოცემული ქვე-პროექტისთვის მომზადდა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საფუძველზე. წარმოდგენილი ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა (ESR), გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) ჩათვლით, სამშენებლო კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მოთხოვნების შესრულება კონტრაქტორის ვალდებულებას წარმოადგენს.

კონტრაქტორს მოეთხოვება ქვემოთმოყვანილი:

1. სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
2. კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);
3. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს სურს საკუთარი ბეტონის ქარხნით სარგებლობა (შესაბამისი მასალის სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორმა

უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;

4. სამშენებლო ნარჩენები გატანილი უნდა იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, წერილობითი შეთანხმების შესაბამისად;
5. იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში და ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;
6. აზბესტის გადახურვის მასალის დემონტაჟი მოხდება უსაფრთხოების კონვენციური წესების მიხედვით და გატანა მოხდება უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, საქართველოს მთავრობის #145 (2016 წ. 29 მარტი) ბრძანებით განსაზღვრული წესების და ნორმების და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად;
7. თუ პროექტის განხორციელების პროცესში საჭირო გახდება ხეების ჭრა ან გადარგვა, მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტორი განახორციელებს მოსაჭრელი ან გადასარგავი ხეების ინვენტარიზაციას და გარემოს დაცვის სამინისტროს (წითელ ნუსხაში შეტანილ ხეთათვის) და ქ. გორის მერიას (იმ ხეთათვის, რომელიც არ არის შეტანილი წითელ ნუსხაში) წარუდგენს მას, ხეების ჭრის ნებართვის მოსაპოვებლად. სანებართვო დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს საკომპენსაციო ზომებს, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. საკომპენსაციო ხარჯების დაფარვა პროექტის ფარგლებში მოხდება, ხოლო საკომპენსაციო საქმიანობას განახორციელებს მშენებელი კონტრაქტორი. ხეების ჭრაზე ზედამხედველობას განახორციელებს უფლებამოსილი სპეციალისტი.
8. მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მშენებლობის ხელმძღვანელს და მგფ-ს და. მგფ-ს პასუხისმგებლობაა შემთხვევითი აღმოჩენისთანავე ოფიციალური უარი თქვას სამუშაო ადგილზე ფიზიკურ სამუშაოებზე და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. მგფ აცნობებს კონტრაქტორს სააგენტოსთან შეთანხმებით სამუშაოების განახლების შესახებ.

მასალების მოპოვების ლიცენზიების ასლები (საჭიროებისამებრ), ბეტონის ქარხნის საექსპლუატაციოდ საჭირო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (საჭიროებისამებრ), და ნარჩენების განკარგვის შესახებ შეთანხმება მგფ-ში სამუშაოების დაწყებამდე უნდა იქნას წარმოდგენილი.

სავალდებულოა სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) დაცვა.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
მშენებლობის წინა ფაზა			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	შემდეგი ნებართვები/ლიცენზიები და შეთანხმებები მოპოვებული უნდა იქნას მშენებელი კონტრაქტორის მიერ და წარდგენილ იქნას მგფ-სათვის: – ხელშეკრულება ნარჩენი გრუნტის განკარგვის შესახებ – ლიცენზიები ინერტული მასალის მოპოვებისათვის – იმგვარი სამშენებლო მასალების წარმოების ნებართვები, რომელთან დაკავშირებული საქმიანობაც ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვეენტარიზაციასთან დაკავშირებული ტექნიკური ანგარიში და შეთანხმება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან – შეთანხმება სამეურნეო და სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე გატანის შესახებ	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
ადგილობრივი თემის ინფორმირება მომავალ საქმიანობებთან დაკავშირებით	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	საინფორმაციო ბანერის განთავსება სამშენებლო ობიექტზე. ბანერზე მოცემული იქნება ინფორმაცია მგფ-ში საკონაქტო პირების, მშენებლობის ზედამხედველი კომპანიის, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შესახებ, რომლებსაც ხალხმა უნდა მიმართოს გარემოს დაცვასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრებით. ბანერი უნდა დამზადდეს ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ მედეგი მასალისაგან. ბანერზე წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს შესრულებული.	მშენებელი კონტრაქტორი
გარემოსდაცვითი ზომების განხორციელების სტრუქტურა	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა არსებითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება	– სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა. – მუშახელისათვის ტრეინინგის ჩატარება განსახორციელებელი სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების კუთხით – დაგეგმილი შემარბილებელი ზომების განსახორციელებლად საჭირო რესურსების მიწოდება	მშენებელი კონტრაქტორი
მშენებლობის ფაზა			
სამშენებლო სამუშაოები, ქვემოთმოყვანილის ჩათვლით:	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	– უნდა განხორციელდეს ყველა სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობა, რათა არ მოხდეს მუშახელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
- სამშენებლო ობიექტების მომზადება - მიწის სამუშაოები - ნაგებობების მონტაჟი - ტექნიკის ოპერირება - ტრანსპორტირების ოპერაციები		და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი, რათა აღმოიფხვრას დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული გადამეტებული ხმაური; - დიზელის ძრავების რეგულარული ტექმომსახურება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამონაბოლქვების მინიმუმამდე დაყვანა, მაგალითად, საწვავის ინჟექტორების გაწმენდით. ობიექტზე გამოყენებული ყველა დანადგარი რეგულარულად უნდა დაექვემდებაროს ტექმომსახურებას, მუდმივად გამათულად მუშაობის უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პოტენციურად დამაბინძურებელი გამონაბოლქვების ემისია; - სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შევსება უნდა ხდებოდეს ისეთი წესით, რომ ატმოსფერულ ჰაერში აქროლადი ორგანული ნაერთების მოხვედრა სამშენებლო მოედნიდან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც მიიღწევა საწვავის საცმებისა და ტუმბოების და დახურული ცისტერნების გამოყენებით (საწვავის შესანახად ღია ცისტერნების გამოყენება დაუშვებელია).; - მასალების გადახურვა/დანამვა ტრანსპორტირებისას, მტკრის შესამცირებლად. სამშენებლო ტერიტორიის და გზის მორწყვა მშრალ ამინდებში	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		– დამცავი აღჭურვილობის უზრუნველყოფა მუშახელისათვის, საჭიროებისამებრ; – სანგრევი სამუშაოების წარმოებისას, დანამვა წყალმზიდით სასხურებლებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა მტვრის დამჭერი ეკრანები; – მიმდებარე ტერიტორიის (ტროტუარების, გზების) გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან, მტვრის დონის მინიმუმამდე დასაყვანად; – მიწის სამუშაოების შეჩერება ძლიერი ქარის შემთხვევაში; – სამშენებლო მასალების და ზვინულების გადახურვა; – მოჭრილი ნიადაგის/ დამუშავებული გრუნტის სათანადოდ შენახვა; – დაუშვებელია სამშენებლო/ნარჩენი მასალის ღია წვა ობიექტზე; – სამშენებლო ტექნიკის უქმი სვლის მინიმუმამდე დაყვანა სამშენებლო მოედანზე; – სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე, ქვე-პროექტის ტერიტორიის აღდგენა პირვანდელი სახით.	
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	– საცხოვრებელი ზონის მახლობლად ტექნიკის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		– მანქანა-დანადგარების ტექ. გამართულობის უზრუნველყოფა; – სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება მხოლოდ დღის საათებში; – დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის უქმი სვლა. ტექნიკისათვის გამოყენებული უნდა იქნას სათანადო მაყუჩები; – ტექნიკის კონტროლი და.ტექმომსახურება	
	ნიადაგის დაზიანება	– სამშენებლო ტერიტორიის და მისასვლელი გზების დემარკაცია სამუშაოების დაწყებამდე; – დემარკაციის შედეგად განსაზღვრული ობიექტის საზღვრების დაცვა ოპერირებისას; - სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის ცალკე მოხსნა (შეძლებისდაგვარად) მიწის სამუშაოების დაწყებამდე და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		– ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არაუმეტეს 2 მ სიმაღლის და მაქსიმუმ 45° ქანობიანი ფერდების მქონე შეკვრებად უნდა დასაწყობდეს, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი პირობები: • ამ დანიშნულებით გამოყენებული უნდა იქნას სპეციალურად განსაზღვრული სასაწყობე ადგილები, რაც თავიდან აგვაცილებს შეკვრების დატკეპნას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად ან მათ დაბინძურებას სხვა მასალებით; • ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა გამოცალკევდეს ქვენიადაგის შეკვრებისაგან; • დაუშვებელია მასალის შენახვა დატბორვის პოტენციალის მქონე ადგილებში; • დაუშვებელია მასალის დასაწყობება მდინარიდან/ნაკადულებიდან 25 მ მანძილზე ახლოს, კონკრეტული ობიექტის ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით; – დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა წვიმიან ამინდებში;	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		– შენახული ნიადაგის ნაყოფიერი ფენით ტერიტორიის რეკულტივაცია სამუშაოების დასრულებისთანავე, კერძოდ კი ნიადაგის საფარის აღდგენა და გამწვანება. საჭიროებისამებრ, ეს შეიძლება მოიცავდეს მიწის ზედაპირის მოსწორებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენას და მცენარეულობის ზრდის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებას; ობიექტზე მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც რეკულტივაციას არ ექვემდებარება აკურატულად გადანაწილდება მიმდებარე ტერიტორიაზე; – იმ შემთხვევაში, თუ შეკვრები მნიშვნელოვან ეროზიას დაექვემდებარება, კონტრაქტორს მოეთხოვება განახორციელოს გამასწორებელი ზომები, როგორცაა ეროზიისაგან დამცავი ჭილოფების მოწყობა შეკვრების თავზე, თუ ზედაპირის შემდგომი მოსწორება და/ან ნიადაგის ნაყოფიერი ფენის თესვა შედეგს არ გამოიღებს. ირგვლივ ბერმების ან მისი ანალოგის მოწყობის მეშვეობით, საჭიროებისამებრ, კონტრაქტორი შეკვრებს დაიცავს დატბორვისა და ჩამონადენისაგან; – ქვენიადაგი არაუმეტეს 3 მ სიმაღლის და მაქსიმუმ 60° კანობიანი ფერდების მქონე შეკვრებად უნდა დასაწყობდეს, ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას სპეციალურად განსაზღვრული სასაწყობე ადგილები, რაც	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		თავიდან აგვაცილებს შეკვრების დატკეპნას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად ან მათ დაბინძურებას სხვა მასალებით; ქვენიდაგი უნდა გამოცალკევდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეკვრებისაგან.	
	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება	– თანამშრომლების უზრუნველყოფა საპირფარეშოებითა და სააბაზანოებით, წარმოებული ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული გადაღვრა საკანალიზაციო სისტემაში, შეძლებისდაგვარად, ან დროებითი კონსტრუქციების მონტაჟი; – ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა; – ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავმზიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთშემკრებების გამოყენება; – ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მოწყობილია ხრეშის საფარი; საპოხ-საზეთი მასალის, საწვავის და გამხსნელების შენახვა მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას; დაუშვებელია საპოხ-საზეთი მასალის, საწვავის და გამხსნელების შენახვა და	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		საწვავით გამართვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სიახლოვეს; – სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ და დროებით აშენებულ სასაწყობე სივრცეებში; – ყველა სახიფათო და ტოქსიური ნივთიერების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერში, რომელზეც მითითებული იქნება ნაერთის შემადგენლობა, მახასიათებლები და ინფორმაცია ექსპლატაციის შესახებ; ობიექტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემაკავებელი მასალები (სორბენტები (შემწოვი მასალა), ქვიშა, ნახერხი, ნაფხვენი და ა.შ.); – საწვავის, ან სხვა დაღვრების შემთხვევაში დაღვრის დაუყონებლივ აწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა – დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩადინება მდინარის კალაპოტებში, ნაკადებში, გუბურებში ან თხრილებში. – სამუშაოების დასრულებისთანავე ქვე-პროექტის ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან.	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	– დაუშვებელია ნარჩენების დაწვა – დაუშვებელია ტოქსიკურ ინგრედიენტებიანი ან გამხსნელებიანი და ტყვიისშემცველი საღებავების გამოყენება. – სხვადასხვა ტიპის ნარჩენებია (სამშენებლო, სახიფათო, სამეურნეო) ცალ-ცალკე შეგროვება; ნარჩენების განთავსებისათვის განსაზღვრული უნდა იქნას კონკრეტული უბნები და იქ უნდა გატარდეს დაბინძურების საინალმდეგო ზომები; – ინერტული სამშენებლო ნარჩენების და ნარჩენი გრუნტის გატანა მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე ან დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე; – ყველა სახიფათო და ტოქსიური ნივთიერების დროებითი შენახვა უსაფრთხო კონტეინერში, რომელზეც მითითებული იქნება ნაერთის შემადგენლობა, მახასიათებლები და ინფორმაცია ექსპლატაციის შესახებ; დაუშვებელია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო შენახვა სამშენებლო ობიექტზე; დაღვრისა და გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, სახიფათო ნაერთების კონტეინერების მოთავსება	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		ჰერმეტიკულ კონტეინერებში; სახიფათო ნარჩენების გადაცემა ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; – მშენებლობისას წარმოქმნილი ნებისმიერი სახის სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენები ხშირად გატანა სამშენებლო ობიექტიდან; – ნარჩენების განკარგვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმება ნარჩენების გატანის დაწყებამდე; – ნარჩენების მართვის რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება, ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი მოძრაობის აღსარიცხად.	
	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიხშირის შეზღუდვა	მშენებელი კონტრაქტორი
	ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები ადგილობრივი თემებისათვის	• სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		• დამონტაჟებულია მაჩვენებლები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები: ნიშნები ნათლად ხილულია და საზოგადოება გაფრთხილებულია ყველა შესაძლო საფრთხის შესახებ; • სამშენებლო მოედანი და ყველა თხრილი სათანადოდ შემოღობილი და დაცულია არასანქცირებული პირების შესვლისაგან (განსაკუთრებით, ბავშვების); • უზრუნველყოფილია სათანადო განათება; • სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; • სამშენებლო ტექნიკისათვის სიჩქარის შეზღუდვის დაწესება; • ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით.	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება კონტრაქტორის მიერ	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში) – საჩივრების/პრეტენზიების მიღება და მათზე რეაგირება. პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იქნება საკონტაქტო პირი მუნიციპალიტეტიდან და ასევე მგფ-დან. პირველ ეტაპზე, საჩივრებს მიიღებს და გადაწყვეტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირი. – თუ ვერ მოხერხდება საჩივრის დაკმაყოფილება ადგილობრივ დონეზე, ის მგფ-ში იქნება შეტანილი (მეორე ეტაპი). – მგფ დაარეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს და კომენტარს და იმას, თუ როგორ მოხდა საჩივარზე რეაგირება. – საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება საჩივრების	მშენებელი კონტრაქტორი, ადგილობრივი მმართველობა, მგფ.

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		დაკმაყოფილების საკითხებთან და საკონტაქტო პირებთან დაკავშირებით.	
	შრომის ჰიგიენასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით (სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი წარმოებისას) - საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) და მათი გამოყენების უზრუნველყოფა - ტექნიკის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება	მშენებელი კონტრაქტორი
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	– სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მგფ-ს და კულტურის და ძეგლთა დაცვის	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ – ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე	
	ზემოქმედება ტყეებზე, ჭარბტენიან ტერიტორიებზე და / ან დაცული ტერიტორიებზე	- არ დააზიანოთ და არ გამოიყენოთ აღიარებული ბუნებრივი ჰაბიტატები, ჭაობები და დაცული ტერიტორიები საქმიანობის უშუალო სიახლოვეს; - მკაცრად აკრძალულია პერსონალის მიერ ნადირობა, საკვების ძებნა, ჭრა ან სხვა საზიანო საქმიანობა. - აწარმოოს მსხვილი ხეების ინვენტარიზაცია სამშენებლო საქმიანობის მიმდებარე ტერიტორიაზე; მონიშნეთ დიდი ხეები და შემოიფარგლეთ ღობით, დაცულია მათი ფესვთა სისტემა და თავიდან აიცილეთ ხეების დაზიანება - დაიცავით მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიები და ნაკადები სამშენებლო მოედნის ჩამონადენისგან, ეროზიის და ნალექების კონტროლის შესაბამისი მახასიათებლით.	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სხვა პირებთან	- საჭიროებისამებრ შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ; - საჩივრების მიღება / მოგვარება; - მუნიციპალურ დონეზე შეიქმნება საჩივრების განხილვის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: დმანისის მუნიციპალიტეტის	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		საკრებულოს უფლებამოსილი წარმომადგენელი და მერია, სოციალური სამსახურის უფროსი, წყალმომარაგების კომპანიასთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი; - თუ საჩივარი არ მოგვარდა ადგილობრივ დონეზე, იგი შეიტანება მგფ – ში; - მგფ აღრიცხავს ყველა მიღებულ კომენტარს და თუ როგორ იგადაიჭრება; - საჯარო კონსულტაციების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირდება საჩივრების განხილვის საკითხებზე და მიიღებს ინფორმაციას საკონტაქტო პირების შესახებ	
	კერძო საკუთრების დაზიანება	- ქვეპროექტის მანქანების გადაადგილება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მარშრუტების გამოყენებით; - მანქანებზე სიჩქარის შეზღუდვის დაწესება; - მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოხდება კონტრაქტორის მიერ.	
სოციალური რისკის მართვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	- ადგილობრივი მეკავშირე პირის გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე; - კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით; - ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სქესობრივი გზით გადამცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში; - მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ; - სამშენებლო საქმიანობის შეზღუდვა ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება; - მინიმუმ ხუთი დღით ადრე, მოსახლეობის ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების)	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე;	
	შრომითი ურთიერთობების მართვა	ა) შეძლებისდაგვარად, სამუშაო ბანაკები განთავსეთ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოშორებით; ბ) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განახორციელეთ მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე; გ) არა-კვალიფიციური, ან ნახევრად-კვალიფიციური მუშახელის დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშახელისათვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი; დ) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კვანძების ობიექტების (ტუალეტების და დასაბანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სეპტიკური ავზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელება ზე პასუხისმგებელი
		გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება; ე) მუშახელის ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური ჯარიმების დაკისრებას.	
ექსპლუატაციის ფაზა			
წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია	წყლის დანაკარგი გაჟონვით, წყლის მიწოდების შეფერხება	– გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლობისთვის სისტემის ფუნქციონირებასა და მოვლა-პატრონობის შესახებ ტრეინინგების ცატარება, რომელიც ეფუძნება სახელმძღვანელოსა და ტრეინინგების პროგრამას, რომლის მომადება არის კონტრაქტორის ვალდებულება. – წყალმომარაგების მიწებისა და ჰიდრავლიკური კონსტრუქციების კარგი ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება, მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად და წყალმომარაგების გაჟონვის, წყალგამყოფისა და შეფერხების გამორიცხვის მიზნით	დმანისის მუნიციპალუტე ტი, მგფ, გაერთიანებულ ი წყალმომარაგების კომპანია

6. მონიტორინგი

მგფ პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგზე. სამუშაოების ზედამხედველობისთვის დაქირავებული კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს მიმდინარე სამუშაოების შესაბამისობას გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო სია და თან დაერთვება ფოტომასალა. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთმოყვანილი გეგმის შესაბამისად.

ESMP -ის განხორციელების აღწერითი ანგარიში ჩართული იქნება მგფ-ის ყოველთვიურ და ყოველკვარტალურ სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშში. მგფ-მა კონტრაქტორისგან უნდა მიიღოს ის ნებართვები, ლიცენზიები და წერილობითი შეთანხმებების ასლები, რაც კონტრაქტორს საქართველოს კანონმდებლობით მოეთხოვება მასალის მოპოვების, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განთავსებისათვის.

7. გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის დარღვევასთან დაკავშირებული ზომები

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელია კონტრაქტორის შესატყვისობაზე კონტრაქტის პირობებთან, რაც ასევე მოიცავს აღნიშნული გეგმის დაცვას.

კონტრაქტორი ვალდებულია თავის საქმიანობა საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს, ხოლო ნებისმიერი სახის შეუსატყვისობის აღმოჩენისას საკუთარი სახსრებით დაფაროს ზარალის სალიკვიდაციო ხარჯები.

8. განხორციელების ხარჯები

შემოთავაზებული შემარბილებელი ზომების განხორციელების ხარჯები მცირეა და რთულია მათი სამშენებლო ხარჯებიდან გამოცალკევება. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ სამუშაოთა მოცულობებში გათვალისწინებული იყოს ნარჩენების და მონარჩენი მასალების განკარგვის ცალკე პუნქტი. მიღებულ გარემოსდაცვით პრაქტიკასთან და წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის შესატყვისობის დანარჩენი ხარჯები ინტეგრირებული უნდა იქნას სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების განფასებაში.

9. საჩივრების მოგვარების მექანიზმი

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე რეაგირების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად. დმანისის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - ვიქტორ ქრისტესიაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, რომელიც მიიღებს, განიხილავს და მოახდენს რეაგირებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე (ტელ: 599 45 90 85; ელ. ფოსტა: viqtorikristesiashvili26@gmail.com).

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; feedback@mdf.org.ge ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმ გებელი მონიტორ ინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრალობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმ გებელი მონიტორ ინგზე?
	ტრანსპორტირებისათვის დადგენილი დროისა მარშრუტების დაცვა.				ტრანსპორტის მომძრაობის შეფერხების მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ნათხარი მასალის დროებით დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ადგილას; ნათხარი მასალის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა ოფიციალურად განსაზღვრულ ადგილებში;	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება მუდმივი მეთვალყურეობ ა არქეოლოგიების მიერ	მიწის სამუშაოების მიმდინარეობისა ს	სამშენებლო მოედნის და მისი შემოგარენის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება; ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და	მგფ, მშენებლობ ის ზედამხედ ველი, კულტურუ ლი მემკვიდრე ობის დაცვის ეროვნული სააგენტო

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმ გებელი მონიტორ ინგზე?
					დანაკარგის თავიდან აცილება	
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადირების შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა.	მგფ, მშენებლობ ის ზედამხედ ველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმ გებელი მონიტორ ინგზე?
	რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება	სამშენებლო მოედანი; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან	მგფ, მშენებლობ ის ზედამხედ ველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმ გებელი მონიტორ ინგზე?
	ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.				დაბინძურების თავიდან აცილება	
